შპს,, მოდილიონი”

MODILIONI

დასკვნა

ქ. თბილისში, მეტრო/სადგურ ,,ვარკეთილის,, მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.003.109) ასაშენებელი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისას მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შპს “მოდილიონი“-ს დირექტორი: ზ .კაპანაძე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე

თბილისი 2021წ.

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს მოდილიონი
ს/კ 439411245

MODILIONI

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
MODILIONI LTD
I/C 439411245

06.07.2021 წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, მეტრო/სადგურ ,,ვარკეთილის,, მიმდებარედ (ს/კ 01.19.36.003.109) ასაშენებელი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისას მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

ასაშენებელი სავაჭრო ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისში, მეტრო/სადგურ ,,ვარკეთილის,, მომდებარედ (ს/კ 01.19.36.003.109)

ასაშენებელი შენობა ოთხ სართულიანია და რელიეფიდან გამომდინარე ჩრდილოეთის მხრიდან ჩაღრმავებულია გრუნტში ორი სართულის დონეზე, ხოლო სამხრეთის მხრიდან კი ერთი სართულითაა ჩაღრმავებული.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა; მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: **118,275X60,888მ**; მაქსიმალური მალი შეადგენს **L=8,5მ-ს.**

კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, შენობის გაბარიტული ზომებიდან გამომდინარე, ასაშენებელი შენობა წარმოდგენილია ერთმანეთისაგან სადეფორმაციო (ანტისეისმური) ნაკერებით გამოყოფილ ორ დმოუკიდებელ ბლოკად, როგორც განსხვავებულ დინიმაკიური პარამეტრების მქონე კონსტრუქციული სისტემა.

კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა დგარი ხიმინჯების გამოყენებით ეფუძნება გამოფიტულ ძირითად ქანს ფენა 5 **(სგე V),** რომლის სიმტკიცის ზღვრის **ნორმატიული მნიშვნელობა** ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: **$R_{c,n}$=6600კპა;** დგარი ხიმინჯები, რომლებიც განთავსებულია დიაფრაგმების ქვეშ ძირითად ქანში (ფენა 5) ჩაანკერებულია 4,0მ-ის სიღრმეზე, ხოლო დანარჩენი ხიმინჯები კი ჩაანკერებულია 3,0მ-ის სიღრმეზე.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით;

ასაშენებელ მრავალფუნქციურ შენობას ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება გრუნტის მეორეხარისხოვანი გზა. (იხ. დანართი-1. სურ.1; ნახ.1) და 11მ-12მ-ის დაშორებით ესაზღვრება ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები.

აღმოსავლეთის მხრიდან ასაშენებელ შენობას 19-19,7მ-ის დაშორებით ესაზღვრება საავტომობილო ცენტრალური გზა, ხოლო დასავლეთის მხრიდან 62მ-63მ-ის დაშორებით ესაზღვრება 14 სართულიანი შენობა ერთი მიწისქვეშა სართულით.

სამშენებლო მოედანზე განთავსებულია ერთსართულიანი ორქანობიანი სასაწყობე შენობა, რომლის დემონტაჟიც უნდა განხორციელდეს მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად. სადემონტაჟო შენობის ფარგლებში სამხრეთის მხრიდან ასაშენებელ შენობას 6მ-7მ-ის მანძილზე ასევე ესაზღვრება ორ სართულიანი შენობა.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო უბანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

ასაშენებელი შენობის მზიდ კონსტრუქციებში სიმტკიცის მიხედვით გამოიყენება **B25**კლასის ბეტონი.

პასუხისმგებლობის მიხედვით ასაშენებელი შენობა განეკუთვნება II კლასს;

საპროექტო შენობის აბსოლუტურ ნიშნულს + 459,50 მ შეესაბამება შენობის პირველი სართულის იატაკის ნიშნული (არქ. +/- 0.00 მ)

დასკვნა:

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც განხორციელებულია პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა, რომ არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი 9 სართულიანი შენობის მშენებლობის პროცესი არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების ზიდვის უნარსა და მდგრადობაზე ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.


შპს "მოდილიონი"-ს დირექტორი: **ზ .კაპანაძე**

ექსპერტი: **დ. ტაბატაძე**

დანართი-1


01.19.36.014.673
01.19.36.014.672
6.014.687
01.19.36.014.689
01.19.36.014.688
01.19.36.014.671
1 (2)
01.19.36.014.003
01.00.279
01.01.749
01 (14)
01.19.36.014.567
01.19.36.014.780
01 (1)
01.19.36.014.545
01 (2)
01.19.36.014.545
9 (1)
8 (1)
7 (1)

სურ. 1


01.19.36.014.780
ქ.ა.
სადემონტაჟო
ასაშენებელი
შენობა
მოსაზღვრე შენობა.
489250
4616700

ნახ. 1